# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 520

"19" ნოემბერი 2021 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, ლეონიძის ქუჩა №7-ის მიმდებარედ არსებული 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.067.013) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფასანაური 2017"-ისთვის (ს/კ. 405241493) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და $122^1$ მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ლეონიძის ქუჩა №7-ის მიმდებარედ არსებული 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.067.013) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფასანაური 2017"-ისთვის (ს/კ. 405241493) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 27 ოქტომბრის №21.1486.1658 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ლეონიძის ქუჩა №7-ის მიმდებარედ არსებული 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.067.013) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფასანაური 2017"-ისთვის (ს/კ. 405241493) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4 800 (ოთხი ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ახვლედიანი